



სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
განკარგულება №15  
2017 წლის 12 ივლისი  
ქ. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტში „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ ახალი ოფისის მშენებლობის პროექტის მოწონების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის შესაბამისად

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2017 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი 161 545,2 ლარის ღირებულების ფარგლებში „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ ახალი ოფისის მშენებლობის პროექტი.

2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს; სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, შ. რუსთაველის ქ. N247).

სენაკის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერი ლაშქარავა